

Handwritten text in blue ink: *ჩემი 23 12*

კვირა, 12 იანვარი, 1980 წ. № 1 (189) წელიწადი მიწვილი, ღირსი 10 ლა.



„მოსვენარი ხალხი“

12 543



— ერთი ამათ უხედათ... ჩამთარვიანც სი არ ისვენებენ... ჭალაქულებმა ტრაქტორის სი ჩამოშტანეს!!

რასაც დასთეს-მას მოიქვი

ე აშ არა და თქვენსავით მოკლე ჭკუის პატრონი ვიქნები. თქვენ რომ გიყუროთ, თავიდან კოჭე-ბამდე ტყავი გამძვრებოდა! — დაცინვით ამბობდა ალფესი მაშკაძე, სოფლის ბობოლა გლეხი... დაცივნა ეხებოდა მის მეზობელ ღარიბ გლეხებს, რომელთა მოსავალი ორი-სამი თვის საყოფს არ აღემატებოდა.

თუ რომელიმე მათგანი შესჩივლებდა ალფესის მოსავლის სიმცირის შესახებ, მაშკაძე გულიანად გაღიზიანებული და გესლიანი ღმილით უპასუხებდა მას:

— შე კვი კაცო, ხალხური თქმულება მაინც არ გაგიგონია: „რასაც დასთეს — მას მოიქვი“-ო.

— კი მარა, რომ დასთესო ხომ საჭიროა სახნავი მიწა, რომლის დასახნავათ ხარ-კამერბიც უნდა გვაძღვდეს. ჩვენ არც ერთი გავგაჩნია და არც მეორე, — მიუგებდნენ მას ზოგიერთი შეგნებული გლეხები.

ეს იყო წინათ.

მაშკაძე არხინათ ცხოვრობდა: დაქირავებული გლეხები მიწას უხნავდნენ და უთესავდნენ. მოსავალი კი მას მიჰქონდა.

— „ძალა ერთობაშია!“ — გაისმა სოფლად.

— მოდი შევერთედეთ, შეგვკავშირდეთ და ჩვენს საქმეს ეშველებო! — ამბობდნენ ღარიბი გლეხები.

ახეც მოხდა: უმიწაწყლო გლეხები შეერთდნენ და დაარსეს კოლექტივი. პირველ ხანებში კოლექტივის საქმე ცუდად მიდიოდა. დანგრევის კარამდის იყო მისული. კოლექტივის მტრები გაუჩნდა. მათ შორის მაშკაძე პირველი იყო.

„ცინე შეგინდან გატყდებო!“ — ამბობდა მაშკაძე და კოლექტივის წევრთა შორის უთანხმოება შექმნდა.

— რათ გვიანდა კოლექტივი. ჩემი მე მქონდეს და შენი შენ—ამბობდნენ კოლექტივის შეუგნებელი წევრები.

ეს ამბავი კოლმეურნეობის ცენტრმა გაიგო.

— არიქა, უშველოთ, დავეხმაროთ კოლექტივს, — ამბობდნენ ქალაქის მუშები.

შესდგა მუშათა ბრიგადა, რომელიც გაემგზავრა სოფლად კოლექტივის დასახმარებლად; ბრიგადამ თან წაიღო კოლექტივისათვის საჭირო იარაღები.

— ამხანაგებო! ჩვენ, ქალაქის მუშები, მოვედით თქვენთან, რომ დაგეხმაროთ თესვის საქმეში. მზადებას ეხლავე უნდა შეუდგეთ. წარსულ წელთან შედარებით ნათესის ფართობი ათჯერ უნდა გავადიდოთ. მიიღეთ ჩვენგან დახმარება. გაუმარჯვოს კოლექტივის — გაისმა ბრიგადის ხელმძღვანელის სიტყვა.

— გაუმარჯვოს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირს! — წამოიძახა კოლექტივის შეგნებულმა წევრმა.

— გაუმარჯვოს, გაუმარჯვოს! — გაისმა საერთო ხმა და ტაშის გრიალი.

მუშათა ბრიგადის მიერ ჩატარებულმა თესვის კამპანიამ სასურველი შედეგი გამოიღო. კოლექტივი მომზადებული შეხვდა თესვას. არც ერთი ტკაველი სახნავ მიწისა დაუთესავი არ დარჩენილა.

მოსავალმაც მოლოდინს გადააჭარბა, მაშკაძე კი გულზე სკდებოდა:

— ვაი რა დღეს მოვესწარი!—ამბობდა ის და მის ბედელში თავგებს დოლი გაემართათ.

— რა მოგცეთ მაგ ბედელში. — შეეკითხა მაშკაძეს კოლექტივის ერთი წევრი, მისი ყოფილი მოგვამაგირი.

— ერთი ბედელი ოქროც რომ მომცე არ მოგყიდი, — იყო მაშკაძის პასუხი.

— შეშათ ხომ არ გინდა?

— ეს მე ვიცი, — ჩაილაპარაკა მაშკაძემ.

— შენ კი იცი, მაგრამ ჩვენც ვიცით. არ გავგიგონია: — „რასაც დასთეს — მას მოიქვი“? — უთხრა მას კოლექტივის წევრმა და უკან გაბრუნდა. **ქუშმბარა.**

ტარტაროზის ბრძანება № 1

ტარტაროზკორებს,
ყველა აგენტებს,
(ზოგან თუ მოაუალს,
ზოგან კი — კენტებს).

ჩვენს რწმუნებულებს
და თანამშრომლებს,
(მჭიდრო კავშირი
ჩვენთან აქვს რომლებს),

ხელის მომწერლებს,
ძვირფას მკითხველებს,
(„უღერითი არის
მხალს თუ ძველებს) —

საღიანი ჩვენგან
გულწირველი, ძმური
და ერთმანეთის
ანდამატური.

უხლა კი—სმენა!
ისმინეთ ჩვენი:
გამოგვიგზავნეთ
მაღ-მაღე ძღვენი.

დღეს გარდატეხის
ბერიოღია,
და უჭმად ჯდომის
დროინი როღია?!

უნდა გარდავქმნათ
ძველი ქვეყანა;
(ღიღი ხანია
დადგა ეს ხანა)...

მას უნდა მივსცეთ:
სულ სინვა იერი.
(დღეს არვინ არის
ჩვენზე ძლიერი)...

და ამ საქმეში
ვინც ჩვენ ხელს გვიშლის,
თავის მტრობა—შურს
მაინც ვერ იშლის,

თეთრ კბილს გვაჩვენებს,
გული აქვს შავი,
სურს გავვითხაროს
ჩუმად საფლავი,

ცხვრის ქურჭში არის
მსუნავი მგელი,
სახე არ უჩანს
ნიღაბს ქვეშ ბნელი,

გველსავით იცის
ჩვენზე სისინი, —
გამოგვიგზავნეთ
ყველა ისინი...

მაგრამ, იცოდეთ,
პირობა ჩვენი, —
(მას შეუღარდეთ
მასალა თქვენი):

წერილი იყოს:
მოკლე, მარტივი,
მაგრამ მხურვალე
და არა ცივი.


ისე შეკავშეთ —
შოგ იყოს ბლომად,
(და, რა თქმა უნდა,
ჩვენს გასაძღომად)

ბევრი მარილი,
წყალი—სულ არა;
(ჩვენთვის, იცოდეთ,
ესეც კი კმარა).

გრძელი სიტყვის თქმა,—
მოკლედ კარგია;
აი, მკითხველის
გულს რა არგია!

სწერეთ მოკლედ და
ღიბეუქდებო...
(ცხადია, თუ კი
გამოგვადგებო!).

ნაყოფიერი მუშაობა ჰააგის კონფერენციაზე



ლაბას რეკონსტრუქციის პერიოდში

დღემდის იცოდი კავი, ულლით და თოკით — რქებზე. ახლა გამოგაქვს თავი სოციალისტურ გზებზეც! გამოგაქვს ახალ მებრით და ახალ გუთნის დედიო, სძრავ ახალ მიწას ფეხით და აბურღავებ რქებით.

კვლავ წამოაწვენი ბელტოს და გულს გადუხსნი ყამირს, რათა ნახნავი ერგოს ცხოვრების ახალ გამირს!

არა დაქსაქსულთ ცალად გლეხთ - გლეხთა მოსაზღვრებად, არამედ შეწუნულთ ძალად, უოლექტივების ძნებად!

ნაადრევია, ვინც სოქვა, მოლადრვა შენი ყელის! მაშ, ასწი ქედლიც ვით ქვა: ცვლავ ახალი დღე გველის!

ტრაქტორს მოველით, ყველა! ტრაქტორი შეგცვლის მაშინ!

მაგრამ, რაკი დღეს შეველა კოლექტივს უნდა ხვნაში, შენც კვლავ დააწვენი ბელტოს და კვლავაც მოსძრავ ყამირს, რათა ნახნავი ერგოს ცხოვრების ახალს გამირს!

შენი პატრონი, ძველი, გასახავდა ყოფნის გერად: ხელთ ეპყრა სახრე, გრძელი, გადმოშვერილი ცერად.

ეს, ბევრჯერ მშვიერს ფერდღა, ჩაგწვნიო იგი ოხრად!

ჰკითხე თავს არა ერთხელ: „ღირს კი ამ მიწის მოხვნა? და მოვა ვინმე უბედი, რომ აღძრას შენზედ პირი: „ერთი გვაქვს, ლაბავ, ბედი, ერთი ლხინი და ჭირი!“ როდესაც მშვიერ ფერდში შენ ჩაწუნულ სახრეს სტირი... პატრონი კი მას კვლავ სძრავს: თითქოს და — „ლობებს ჩხირი“!

არა, არ შესცდე, ლაბავ, და არ აპრიო ძველში, ახლა რომ ძარღვებს სძაბავ, ახლა რომ დრო გაქვს ხელში! ჯერ ერთი — რად ღირს, როცა რვა საათს გიწვეს შრომა, თან დროს ეცვლება დროცა: შრომას სცვლის მუცლის ძლომა.

ნამშვიერევი ფერდის ვსებას გისახვენ მიზნად, აღარ ხარ ძველები ბედის მაჩანჩალად და ხიზნად — როცა პატრონი, ძველი, გასახავდა ყოფნის გერად: ხელთ ეპყრა იფნის წნელი, შენზედ აწვდილი ცერად!

მისკენილი ბაწრის წვერზე ჰყავდი მიკრული კავზე, „ზრუნავდა“ შენს კისერზე, შემდეგ — ხორცსა და ტყავზე!

ხვნას რომ აღებდა ის ხელს ან ჩნდა სხვა ხარი, მშველი, წამოგაქცევდა შენ, ძველს, რომ მოვლადრა ყელი!


დაუწოგავი იყო და ხარბი, როგორც მგელი: ბევრი რამ ავიც გიყო, მტრულად დავადო ხელი... ზოვი უგნური ახლაც უქებს მას ქცევას ფიცხელს: შესტრფის იმ დანის დახლას შენ რომ მოვლადრავს კისერს!

ჩვენ დღეს გმფარველობთ ისევე ძალად გთვლით მაინც ხნიერს, რომ სოც-შეჯიბრში იწვევ იქით ტრაქტორს თუ ტრიერს.

გვერდში გიდგება ლურჯაც, შენთან ერთ ბელში მყოფი; უტრაქტორობის ურჩათ ხართ მომართული თოფი!

კვლავ დაერევით ყამირს და კვლავც მოლხნავთ მიწას ცხოვრების ახალს გამირს და იმის ახალს მიზანს!

დიდი შეცდომა



— რა იყო, კაცო? რა მოვივიდა? რა დაგეზართა?
 — დღეს გამგებს ცხვირს დააცემინა და „ღვთის წყალობა“ ვერ ვუთხარი.

ჰაპირა.

ეოლოღება

რომელმან შექმნა საბჭოთა ქვეყანა წითელ ფერითა; ძველი ქვეყანა დაღეწა ოქტომბრის მონაბერითა, რომლის დროშის ქვეშ მუშები გლეხებთან ერთად ვმღერიოთა, მის ბელადობით ვქმნით ახალს ქვეყანას სხვა იერითა. ვქმნით, თუმცა ძველს გარდაქმნა—საქმე ეს მითად ძნელია, მაგრამ მშრომელთა დაშპარი მტკიცეა, უძლეველია. აგებს ახალს და ძველს ანგრევს, რაცა რომ საწუნელია, რად გვინდა ძველი ცხოვრება, რომელსაც ახლავს ბნელია.


მა, ბრიგადებში დავრავნით მუშა და მუშა-ქალები, სოფლის საშველად გავგზავნით საუკეთესო ძალები. კოლექტიურად მოვითხოვთ: მინდვრები, მთა და ქალები. გავანადგუროთ კულაკი, მტერს დაუბრმავოთ თვალები.

ღარიბ გლეხს ხელი შეუწყვით, მით გაუკაყოთ გულია. უთხრათ: შა, ძმაო, ტრაქტორი, სათესლე, თანაც ფულია, ტრაქტორი ააგუგუნე, ხნულს გადააბი ხნულია, რახაცა დასთეს შენია, რაც არა — დაკარგულია.

არავის ძალუძს ქვეყნისა ჩარხის უკულმა ბრუნება მსოფლიო კაპიტალიზმი აწ აღარ განიკურნება. წყლულმა და ბნელამ შეიპყრო იმისი ბერი ბუნება ჩვენ ქვეყნის აღორძინება არს მისი განადგურება.

ტ—ნი.

გულახდილობა



— შენც გაგწმინდეს?
— მე რა შენზე ნაკლები მოღანგველი ვიყავი?

სანიმუშო დაუღმევრობა

— ამბანაგებო, ამბანავი ტოქსინი გავიკეთებებს მოხსენებას—სოფლად მუშათა ბრიგადების გავზავნისა და თესვის კამპანიის წინასწარი მუშაობის მსვლელობის შესახებ. ამ მუშაობის ჩატარება მას დაევალა ამ ხუთმეტ-ლის წინეთ!—განაცხადა საგანგებოთ მოწვეულ თათბირზე ამხ. ნიანგმა და სიტყვა მე მომცა.

— რომ კულაკი მოისპოს სოფლად, საჭიროა კოლექტივების გაძლიერება, ხოლო თუ გვინდა, რომ კოლექტივები გაძლიერდეს, საჭიროა კულაკების მოსპობა... ამგვარად, მუშათა ბრიგადების სოფლად გავზავნის კამპანია სწორედ ამ მიზანს...

— რა მიზანს ისახავს, ვიცით ჩვენ. შენ ის გვითხარი, როგორ მიმდინარეობს ეს კამპანიები—შემნიშნა ნიანგმა. კამპანიები რომ მიმდინარეობდა, უს კი ვიცოდი, მაგრამ როგორი იყო ამ კამპანიის მსვლელობის საქმე სხვადასხვა ორგანიზაციებში, ეს არ ვიცოდი. არ ვიცოდი იმით, რომ არ გამოიმირკვევია. არ გამოიმირკვევია იმით, რომ დავალება არ შეგასრულე. დავალება არ შეგასრულე იმით, რომ დაუღმევრობა გამოვიჩინე ისე, როგორც ეს ხშირათ სჩვევია ზოგიერთ ჩვენ მომუშავეებსაც. მაგრამ, ვინაიდან სიტყვა მიცემული მქონდა, უკან დახევის გზა აღარ იყო და მოვეყვი:

კამპანიები კარგად მიმდინარეობს, მაგრამ მე მინდა აქ აღვნიშნო ის ორგანიზაციები, რომლებმაც განსაკუთრებული ენერჯია გამოიჩინეს ამ მუშაობაში. ერთ ასეთ ორგანიზაციას ეკუთვნის გემო-კვების პროფკავშირი, რომელიც ყველაზე წინ სდგას...

— მაშა გიცხონდა იმდენი. გემო-კვების კავშირია სწორედ უყურადღებობას რომ იჩენს მუშათა ბრიგადების შერჩევასა.— „აღმოაჩინა“ ამერიკა ალღარ-ალღარსანსა.

— უკაცრავით... მე მინდოდა მეთქვა კომუნალურ მუშაკთა...

— სწორედ კომუნალურ მუშაკთა კავშირია, სუსტად

რომ ეკიდება ამ საქმეს.—ჩაბურღლუნა ცხვირში მე-ღლუშა.

— ჰო და, მეც ეგ მინდოდა მეთქვა, რომ კომუნალურ მუშაკთა კავშირი სუსტად მუშაობს, მაგრამ სამაგიეროდ რკინის გზელები...

— ჰმ! სწორედ რკინის გზელთა კავშირია ჩამორჩენილი ამ საქმეში.—გაღიხარება კირილე საფიჩიელიმა.

— ჰო-და, მეც მეგს ვლაპარაკობ, რომ რკინის გზელებიც არის ჩამორჩენილი მეთქი. მაგრამ მიწსახკომმა, როგორც უშუალოდ დაინტერესებულმა ამ მუშაობაში, შემოსხენებულ პროფკავშირების საკითხი დასვა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში.

— რას მიედ-მოედები შენ?—მემაჩერა ისელება, — მიწსახკომია სწორედ რომ არ ჩქარობს და 31 დეკემბერს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც ირჩეოდა საკითხი თესვის კამპანიის შესახებ, წარმომადგენელიც არ გავზავნა, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი დღით ადრე აცხობეს მას.

— ხუთი დღით ადრე თუ აცხობეს, ალბად დაავიწყდათ. მიწსახკომში გულმამიწყები სხედან — „იფილოსოფოსა“ მხატვარმა დონმა.

— ამბანავო ტოქსინო, შენ როგორც სჩანს, არაფერიც არ გამოიმირკვევია.


— არა—იყო ჩემი მოკლე და მკაფიო პასუხი. — ესეც კარგია, რომ არ უარობ.—მითხრა ნიანგმა და ხელათ გამოაცხო რეზოლიუცია.

დავალების შეუსრულებლობისა და დაუღმევრობისათვის ამხ. ტოქსინს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით, მოიხსნას პასუხისმგებელ თანამდებობიდან და ერთი წლის ვადით გაიგზავნოს კოლექტივ „ჩვენს გარსკვლავში“ სამუშაოთ.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად ერთის წინააღმდეგ (ეს ერთი მე ვახლდით).

ბოქსინი.

უეუინებული



— სჯობს უკან დავბრუნდე; ამოდენა სი ვრცეზე თქვენი კამბანიას რა ჩაატარებენ?! მის-
მის- დარბაზში იქონს სადმე!

გზადღებ „ტარტაროვი“-ს სპეციალური ნომერი სელოვნებაზე

(ლიბერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა, ცირკი) თანამფრთხილებს ვსთხოვთ
დაჩქარებით მოგვაცოდონ აღნიშნულიდან მასალები.

„ფიცი მწამს, ბოლო მაკირვებს“

სასაბუღალტრო და საგაბრუნავო დეპარტამენტის მდიანი, — ცარიელ ქურქელს უკან არ ლებულობენ.



— კიდევ დაითვერი? ეს არის შენი დაპირება?
— მხოლოდ ორი ჭიქა დავლიე, მეტი არა!

ნოტა საგარეჯოს რაიადმასკომს

მაქვს პატივი გაუწყობთ შემდეგი: „ტარტაროზი“-ს რედაქციამ აღმოჩენა უფლებით გადაზღვრეთ ქვემოთ მოყვანილი ნოტა და თან დამავალა, გაგიცხადით, რომ უკეთუ 720 საათის განმავლობაში თქვენგან არ იქნება მიღებული დამაკავალისებელი პასუხი, „ტარტაროზი“-ს რედაქცია თავისუფალი მოქმედების უფლებას იტოვებს თქვენს სამფლობელოში, მყოფ ს. მალხაზოვკას ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად სააღყო წესები არის გამოცხადებული, თანამედ სოფლის საბჭოს № 1 დეკრეტისა, 21 ოქტომბრის თარიღით.

თქვენს დუმის „ტარტაროზი“ ჩასთვლის მტრობა აქტად და თავის ბრძოლებს, რომლებიც მომზადებული არიან სალაშქროდ თქვენს კამპანიის ჩასატარებლად მალხაზოვკაში, და მთელს საგარეჯოს რაიონში, დაივალის, სათანადო ზომების მიღებას, რომელთა შედეგებისათვის პასუხისმგებლობა თქვენვე დაგეკისრებათ.

მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა და „სხვა“.

რომ ბევრი არ გაევიწყლოთ, ბირდაპირ გადავლივართ საკითხზე.

როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ს. მალხაზოვკას, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოფლის საბჭოს სახით მალხაზოვკაში აკრძალა საღამოს 9 საათის შემდეგ ქუჩაში გავლა. იძულებული ვართ ერთხელ კიდევ მოგავიწყონთ 21 ოქტომბრის თარიღით გამოცემული დეკრეტი № 1, რომელშიაც სიტყვა - სიტყვით ნათქვამია შემდეგი:

ხულიგანობასთან ბრძოლის მიზნით მალხაზოვკაში ქუჩაში გამოხველა სასტიკად აკრძალულია საღამოს 9 საათის შემდეგ. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, დაჯარიმებული იქნება 5 მანეთით და კიდევ მეტი.

თქვენთან დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავების თავიდან ასაშორებლად, ტარტაროზმა ამჟამობინა ეწარმოებინა დაცლის პოლიტიკა.

წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, თქვენ არ გაანართლეთ მისი იმედები და თქვენი ოქმით № 4, რომელსაც 30 დეკემბრის თარიღი აზის, დაადასტურეთ მალხაზოვკის სოფლის საბჭოს დეკრეტი, რომელიც ზღუდავს და ლახავს „ტარტაროზ“ის უფლებებს. მოგავიწყებთ, რომ „ტარტაროზი“-ს პატრულები აქამდე დამლობით დადიოდნენ თქვენს რაიონ-

ში იმ კულაკებისა და ჩარხ - ვაქრების გასაქაჩავად, რომლებიც კონლაბანდათ მიპარებდნენ პურს სასპეკულიაციოთ და, რომელთაც საერთოდ დამ - დამობით უყვართ ბნელი საქმეების კეთება. თუ ტარტაროზის პატრულები ასეთ მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებული, იძულებული გახდებიან ჩანგალზე წამოაგონ დეკრეტის ავტორები, რადგან, მათი ღრმა რწმენით, ასეთი წესები არავისთვის სასარგებლო არ არის. თუ ხულიგანებთან საბრძოლველად სხვა საშუალება არ მოგეპოვებოდათ, გეთქვით, თქვენ ოჯახ აშენებულგებო, და ჩვენ ვაგადრობდით მათ ტყავს. რა საჭირო იყო ამისათვის სააღყო წესების გამოცხადება.

დასასრულ დავალბებული მაქვს გაგიცხადით, რომ „ტარტაროზი“ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მოხსნათ სააღყო წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში „ტარტაროზი“ სააღყო წესებსაც მოხსნის და ბევრს სხვასაც.

მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა და „სხვა“.

„ტარტაროზი“-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი საგარეჯოში: ხეგერი-ბენ-შეინ.

მ ლ ი ქ მ ნ ე ლ ი

კულაკის სიმღერა

კულაკმა სიტყვა: —სოფლად ვზივარ.



— ახლოს მოდიო!
— როგორ შეიძლება! თქვენს ჩრდილს ხომ ფეხს ვერ დავადგამ?

ვერვინ მოვა ჩემზედაო,
უთვალავი სანოვაგე
მილოვია ჯერზედაო.
ყველგან ქსელი გაბმული მაქვს,
ვეჯიბრები გლეხებსაო;
ობობა ვარ, მამაცურად
ვაპოძრავებ ფეხებსაო,
ძოხხაცა მყავს, ხარბივც მყავს
პურიცა მაქვს, ღვინოცაო;
სულრა ვიცი, მაღაცა მაქვს
და მიხდება ლხინიცაო.
სოფლის ქსელში ფხიზლად ვზივარ
ვერვინ მოვა ჩემზედაო...
მაგრამ, დახე, აღმასკომი
დაიჯდარიყო ცხენზედაო.
კომკავშირი წინ მიუძღვის
დავემილი ჩემზედაო;
ამოძკრეს და გამომაედეს
გატიტვლებულ სერზედაო;
სანაეაროდ შემიმოკლეს,
ღამაყენეს ცერზედაო;
მარგალიტის მსგავსი ცრემლი
დამიგორდა წვერზედაო.
კოლექტივმაც წინ გამისწრო
გადამიღვა გზებზედაო;
დაჩეული მსუქან ნაჭრებს—
ვბილებს ვიმტვრევ ძველებზედაო,
სანოვაგეც დაიეცლება,
ხარიც წავა, ცხვირცაო,
გადახაზულ სიმდიდრისგან
არ დამრჩება ცუარიცაო;
ვერ გავივლი ძველებურად
ულვაშების გრეხითაო;
ჩემს ქსელშივე გავებმები
საკუთარი ფეხითაო.
კულაკი ვარ, სოფლად ვზივარ
და გკლივარ ბეწუზედაო;
შიშისგან და სიხარბისგან
ვიხრაკები კეცზედაო.

ცხვირგატეხილი.

სტუდენტის მოგონება

მახსოვს როდესაც „უნივერსიტეტში“
შესასვლელადა მე გამამზადეს.
ფულეები ბლომად ჩამიდევს ხელში
და შორსა გასასა მე გამამგზავრეს.

მამამ დამლოცა, დედა გადმომყვა —
და მითხრა: „ჭკუით იცხოვრე, შვილო,
ფრთხილად იყავი, თავს მოუარე,
თუ გინდა, ჭირი რომ აიცილო.“

გიყვარდეს სწავლა, მეცნიერება,
წიგნების კითხვა, განვითარება,
თუმცა პირველად ჯაფა შეგხვდება,
მაგრამ ბოლო დროს გამოგადგება.

აბა შენ იცი, დედაშვილობამ,
არ დაივიწყო, რაც დავაბარე,
გახდი ნასწავლი, ქვეყანას, მოამხეს
გამოადეჟი, მეც გამახარე“.

და ამ სიტყვებით დედამ მაკოცა,
თვალცრემლიანი მალე გამშორდა.
მისი სიტყვები მატარებელში
მგზავრობის დროსა ყველა მახსოვდა.

მაგრამ ტფილისში როცა ჩავედი,
და გავიცანი: ამხანაგები,
კლუბი, ბაღები, რესტორანები,
თან მოარშიყე ტურფა ქალები,

აბა სწავლისთვის სადღა მეცალა,
ვისლა ახსოვდა მეცნიერება,
რესტორანებში იმართებოდა
ჩემთვის ლექცია, დროს ვატარებდა.

სულ მოკლე ხანში გადამაფიწქდა
დედაჩემისა დანაბარები...
არც იქითა ვარ და არც-აქითა,
აღმა და დაღმა დავიარები!

მიტმსოლლი.

საქმის-ქვეყნის დასაწყისი



მხარე:—აქ ჩვენი სახლი არ გეგონოს! აქ დაწესებულებაა... მე შენი უფროსი ვარ!

ჩვენი მსუბუქი ქავალერიის თავდასხმა ტფილისის მილიციისა



— ხელში მიჭირავს კვერთხი, ზევრი მყავს დასაფერთხი.




ქოქოზილი ილია, „არ მოუღის ძილია“, „ბივში გარადავით“, ძველი დროის შეილია.



ბარათაშვილი „ოლიჩა“ რეგისტრატორი ქალია, საქმეს გულგრილად აკეთებს, სარკისკენ მიაქვს თვალია.



არ ირწმუნებ, მკითხველო, იფიქრებ: სიზმარია, რომ სამხედრო მაგიდას; აქ განაგებს მარინამ აპაქოვი გვარადა, მეპატრონე „ღვარცის“ (ვინც აქ ის დააყენა, ხელი რატომ არ ეწვის?) მდგმურებს ახრიობს, აწამებს აპაქოვი მარინა, ამოწყვიტა მდგმურები, მიეშველეთ, არიქა.



გუშინსკის ქალი ნინიკო, სახელგანთქმული ჭედაია, საქმეში გამოიარხული როგორც ზღაპრული მედია, ბიულეტენი დასტოვა, თითქოს გამხდარა ავად, თვითონ ბათოში „მოქუსდა“ ინდიგოს „სანახავდა“.



გივიანაშვილი ილიკო „საბოტაჟიკი“ ბიჭია. ღვინოებს „პრობავს“ ბაზარში სხვა საქმის არ აქვს ნიჭია. დაღვებს და ღვინოთ გაუღვინოებს ცეცხლი უჩნდება თვალებში, შმდეგ „დროს გასატარებლად“ სერიოზოზს ქუჩის ქალებში.

კიკვაძესა და გვილაშვას სხვაგვარად უძგეროთ გულგობი, ღვინის სმა უყვართ, ვაჭრებთან არიან „დახმობიკულები“.

იფსუს, დროებავ, წყეულო, არ ხარ ძველივით „იხში“, თორემ რა უნდა ჩიმოვანს ტფილისის მილიციაში?! ვახ, ჭალადრდის ველებო, ქორ-მეძებრების ტარებას, ნადირთა ხოცვას, გართობას ნეტავ რა შეედრება!?



ნემსიწვერიკმე ვლადიმერი (ლენრაიონის „ნუგეში“) იყო და უკვე წავიდა (მოქცევა ჰქონდა უხეში).



მას კი ტფილისის ქუჩებში უქმად რად უნდა ნაგანი. თუ ვერ მონახა თავაღმა გასართობელი საგანი?! და „გასართობად“ წახულ წელს მან მოქალაქე გაღაბა; მკლავაძე წარმოგიდგება მკითხველო, ის რომ ვანახვა.



უველახან არის ცნობილი ჩიტიაშვილი პარამენი, ის სახაზინო ფულეებში „ჩაიწვა“ როგორც კარმენი, გამხალნი გადაუწყვიტეს მოხწყვიტეს ვაჟკაცს წელია, ახლა ნაგანი ჰქვია, წიხის და რიგის მცველია.



— ბრრრ... ბრრრ... ბრრრ...
— გააღვიძე, კაცო, ში ვილაცაა, რომ გაზღლართულა და ხვრინავს ტუბულის „პარავოზივით“, გააღვიძე, თუ არა გაქულებავს ანტონობილი.
— იხვრინოს, ხიზმარშია ალბად.
— ხაგუმავოზე სიზმარი ვის გაუგონია... მილიციელი კია ვილაცაა. ვინ არის არ იცი?



— ჩიკვიძეა ჩვენი შალიკო. წუხელი უნდ რომ იცი „იონარი ქალებთან“ იქიფა გათენებამლი და მერე ხაგუმავოზე მოხულა.
— გააღვიძე, გააღვიძე!
— შალიკო, შალიკო. გეღვიძე, ბიჭო, გეიღვიძე.
— ბრრრ... ბრრრ... ბრრრ... ბაზარზე გამოტანილსა!

დავით გუნდაძის შესახებ ამბობენ—წაიკულაკებს; სახლი აქვს ბალიო, ბობტანით, ჰყილის ქათმებს და ბურვაცებს, „მე ხაგუმავოს რას ვაქნევ, დავენაცვლები მწვანოხლო შალტა კონებათ შეტრულს და

ახირებულნი ამბავი

საგზაზედუხლო თვისის კამბანის ჩასატარებლად სოფლებისკენ დაიძრუნ ქალაქის საუკეთესო მუშების ბრიგადები.

ენუქა თხლენურიაშვილი მუშა იყო, მაგრამ იცოდნენ მისი სუსტი მხარე — გადაკვრა უყვარდა; ამიტომ განზრახული იყო მისი ისეთ რაიონში გაგზავნა, სადაც ნაკლებ იშვავებოდა მავარი სასმელები.

ბრიგადების შედგენის დროს ენუქამ ყნოსვით იგრძნო საით უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის წასვლა. მიუხედავად იღვბულ ზომებისა, ის კახეთის ბრიგადაში გაძვრა.

წასვლის წინ ბრიგადის მეთაურმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ამხანაგებს:

— ამხანაგებო! დარწმუნებული ვარ ყველას კარგად გესმით ჩვენი სოფლად გამგზავრების მიზანი. ჩვენ არა თუ მარტო თვისის კამბანია უნდა ჩავატაროთ, ამაზედ უნდა გავაშუქოთ გლეხების წინ დღევანდელი ცხოვრების ყველა მხარეები. ჩვენ ისეთ რაიონში მივდივართ, სადაც გამეფებულია ლოთობა. ჩვენი ყურადღება ამ მხარესაც უნდა მივაქციოთ და აუხსნათ გლეხობას ლოთობის მავნებლობა, რომ მაგალითი ეჩვენონთ გლეხებს, ჩვენ ისე უნდა მოვიპაროთ კახეთი, რომ ერთი წვეთი ღვინო არ დაგლოთოთ, დათობაზე ლაპარაკი ზედმეტია. გლეხებმა რომ

მთვრალი გენახოს, ყოველივე ჩვენი მოქმედება ფუჭად ჩაივლის. ეს უმთავრესად შეეხება ამხ. ენუქას, რომელსაც ყველამ ვიცით, გადაკვრა უყვარს. საწყენად ნუ მიიღებს.

— გაძღვეთ სიტყვას! — მტკიცედ წარმოსთქვა ენუქამ.

ბრიგადა დაიძრა კახეთისკენ.

რაც უფრო და უფრო შორდებოდნენ ტფილისს, ენუქას მოუსვენრობა ეტყობოდა. კახეთიდან მონაბერი ღვინოსა და არაყის სუნნი ალიზიანებდა მის ყნოსვას.

იორის საღვთურზე ენუქამ ვეღარ გაუძლო ცდუნებას, მოახერხა საღვთურში შეპარვა, ათიოდე ხინკალი საჩქაროდ გადაჰყვავა და სამი მოხრდილი ჭიჭა არაყი გადასხუბა. ცოტა პირზე წამოქარხნალებული იყო და ლაპარაკს უმატა, მაგრამ ამხანაგებმა მანც ვერაფერი შეატყვეს.

გურჯაანში საღამოზე მივიდნენ და რადგან გვიანი იყო, გადასწყვიტეს იქ დარჩენა.

— ამხანაგებო მე აქ ბიძა მყავს, ალექსანდრა ბეზარაშვილი; თუ ნებას მომცემთ ამეღამ მოვიწახულებ და დღია აღრიან აქ გავჩნდები.

— წადი, მაგრამ აღთქმა არ დაგავიწყდეს — უთხრა უფროსმა.

— არასოდეს! მოკლედ მოუქრა ენუქამ და შურდულივით გაქანდა ბიძისკენ.

ალექსა მოქვიფე კაცი იყო. ძალიან გაგზარდა ენუქას მისგლა და გულ და გულ გაუმასპინძლდა. ყანწები ყან-

წებზე გადადიოდა. ენუქა ხარბად დაეწავა ღვინოს და არაყს. გათენებამდე სვეს. ენუქას დაავიწყდა ბრიგადაც და თვისის კამბანიაც. კარგა ირაყრაქა, რომ ის და აოქქა კიდევ სვამდნენ და „პარიალაღეს“ მღეროდნენ. მზე კარგად წამოსული იყო, რომ ენუქა გამოვიდა ალექსას ეზოდან. ფეხებს ძლივს მიათრევდა. თვალეი ველარაფერს ხედავდა.

რაკი დროზე არ დაბრუნდა, ბრიგადამ დიდხანს ეძება ენუქა. ბოლოს, ალექსასაც იკითხეს და რა გაიგეს — წამოვიდაო, საგონებელში ჩაეარდნენ. მთელი სოფელი მოედვა საძებრად, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს. ბოლოს ბრიგადა დარწმუნდა, რომ ენუქა ტფილისში დაბრუნდა.

ბრიგადამ სანაქებოდ შესარულია თავისი მოვალეობა და დაბრუნდა ტფილისში.

მეორე დღეს შარა - გზაზე მოგდებულ ერთ საღორედან ენუქა გამოძვრა, თმა აბურძენული, გატალახიანებული. თურმე სიმთვრალის გამო ვეღარ შეესძლო სიარული, გზის პირას საღორე დაინახა, ხელად შეძვრა და უგრძობლად დაეშვა ნეხზე, და დაიძინა. თავი ბუმბულში ეგონა. ორი დღე და ღამე ეძინა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაიღვიძა და შერქვენელი დაბრუნდა ტფილისში.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ენუქაზე, რომ ამ დღეს მერე ღვინოს სმა მიატოვა და დღესაც არა სვამს... **მ-მ-მ.**

გ უ შ ა გ თ ა შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

ქუთაისის აბრეშუმის ძაფსალებ, ბარიტის და ქლორიდის ქარხნებს აქვთ ორი საგუშაგო, სადაც მორიგეობით დარაჯობენ შათირიშვილი და თუთბერიძე.

მუშათა სოც-შეჯიბრების კამბანია ამ გუშაგებსაც გადაედო და მათ ერთი მეორეს გამოაცხადეს შეჯიბრება... ღვინის სმაში.

დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა საგუშაგოზე გამოპრუქულად მოსვლას. მიუხედავად ღვინის ჯიშისა, ხარისხისა, თვისებისა და რაოდენობისა, ოღონდ ღვინოს სათანადო შედეგი უნდა მოყოლოდა. ხელშეკრულებაში გულზე ხელ-კრული არ იყო არც არაყი, არც ლუღი და ნით უმეტეს არც კონიაკი, (თუმცა ამ უკანასკნელის გადაკვრას შემთხვევითი ხასიათი თუ ექნებოდა სემპროლის დაცვა მოითხოვს ითქვას, რომ ორივე მხარე კეთილსინდისიერად ასრულებს პირობას: თუთბერიძეც და შათირიშვილიც სისტემატიურად ლოთობენ და მთვრალი დადიან წარმოებათა „საგუშაგოთ“.

გადაკრულ კაცს ძილი და მოსვენება ესაქიროება და მართლაც ამ „გუშაგებს“ არხინად სძინავთ სადარაჯოზე და მათ ძილს არავინ აშფოთებს.

მაგრამ ერთი აბილუთი მღვდელსაც შეცდებარ, იტყოდნენ ძველთა, რაცა „აბილუთას“ ვასაეული ქონდა და ასეთი „მეცდობა“ მოხდა:

5 ოქტომბერს მილიციელი თუთბერიძე მთვრალი მივიდა საგუშაგოზე და, როგორც წესია, დაიძინა. ძაფსალებ

ქარხნის კომენდანტმა შენიშნა ეს და იმდენი „თავხელობა“ გამოიჩინა, რომ ვალვიდა ეს სწორუპოვარი დარაჯი და (წარმოიდგინეთ) გააფრთხილა კიდევ, რომ წარმოების ინტერესები მოითხოვს დარაჯი ფხიზლად იყოს საგუშაგოზე. რასაკვირველია, თუთბერიძე აღაშფოთა კომენდანტის „თავხელობამ“ და კარგათ მილანძღა იგი.

გამოურკვეველია, ამ ინციდენტის შემდეგ თუთბერიძეს კვლავ დაეძინა, თუ არა. ის კია ფაქტი, რომ იგი შესცვალა მეორე მილიციელმა, შათირიშვილმა, რომელიც, შეჯიბრების თანახმად, ტიკივით გაბერილი იყო ნუნუათი.

უეჭველად, შათირიშვილიც არ იყო დაძინების წინააღმდეგი, მაგრამ მან, ალბათ ქურდ-ბაცაცების და სხვა მავნებლების შესაშინებლად იძრო რიოლოვერი და გიოსროლა. ეს იყო გაფრთხილება ნაძირალების მიმართ.

გუშაგი „მედგრაით“ ღვას თავის საგუშაგოზე.

რა უყოთ მერე, რომ შათირიშვილის ტყვია მახლობელ სახლის სარკმელს მოხვდა, ფანჯარა ჩაღვწა და სახლშიაც შეიჭრა? გუშაგი კაცი უმიზნით ხომ არ ისროდა და, რაც მიზანს შეეხება, თქვენც ხედავთ, რომ შათირიშვილი კარგი მსროლელია (ხუმრობაა, მთვრალმა კაცმა ფანჯარას გაარტყას!).

რა უყოთ მერე, რომ ის ტყვია შეიძლება ვინმეს მოხვიდროდა კიდევ? წარმოების დარაჯობა და დაცვა ხომ მოითხოვს მსხვერპლს! **ლანხმარი.**

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ს ი ღ ნ ა ლ ი

ნახ. მ. სპიჩინის, გურჯაანი.

ნახ. ალ. ზამეძის, ტფილისი.



— უკაცრავად, დაწესებულებაში მოვედი, მეგონა და თქვენ სახლში მოვსულვარ; გზა ამრევია.
— არა, გზა არ ამრევიათ, აქ დაწესებულებაა!

ნახ. შ. მუხომედიანი, ქუთაისი.




— თუ იმა ხარ დღეს საერთო კრება სამსახურის გათავებამდე მოიწვიე.
— რატომ?
— შინ, მერქარება, და კრებიდან იოლადა გავიპარები!



— ჩვენთან ყოველგვარ თვითკრიტიკას მეტიჩიობას ეძახიან.
— ჩვენთან კი, პირიქით, ყოველგვარ მეტიჩიობას თვითკრიტიკას ეძახიან.

ნახ. ს. ტინცაძის, ქუთაისი.



— სად გარბიხარ, კაცო?
— შრომის ბირუაში, წმენდა და ადგილები განთავისუფლდება.

— რადიოს უქონლობა მე უნდა ვიჩიელო, თქვენ რა ვადარდებთ. — დაიწყა სასაიდლოს გამგემ, — სასაიდლოში ზურნის დაკრება აკრძალულია რადიო როცა იყო, მუსიკის და კონცერტების მოსმენით მუშტარი ღვინის სმის „ხოშხე“ მოდიოდა, ვაქრობა კარგი იყო მაშინ.
ლაძე იყო... ზოგნი სერიოზობით მოწყენილნი სახლში მიემუტრებოდენ დასაძინებლად. ზოგს ადგილკომში წინარდი გაეჩაღებინათ. ზოგი კი ბილი-არდის რიგს ელოდებოდა, თვატრი და კინო კი ჩაბნელებული იყო.
ს. აკელი.

კულასის მოთქმა

ლუკასგან ასე შევიტყვე მოდიან ბრიგადებო, ტრაქტორებით და ხაჭუჭრით, რისთვისაც ცრემლად ვღნებო. უნდა გათონხონ უყვები და ვადმოსვიმონ ხნულები, საერთო შრომით გავვისწრონ, მტრებს გავვისებოთ გულელები. პერანგი არ მიცმევია, მგონი გამეკცეს ქალიო: შემასვეს, შემალევისნეს მე ჩაილულის წყალიო. რა უიღბლობა შემისხდა, სოფელს უქერდი მარწუხებს, გაფრინდა „ძველი დიდება“ ეს მალონებს და მაწუხებს. კოლქეტივს ფეხვი გაუდგამს და ზეიმი აქვთ ღარიბებს. საბჭოთა ხელისუფლება მათთვის სათესლეს არიგებს გენო, ვანო და ილიკო ოხერი, ნაბიკვებო. მოჯამავირთ რომ მუკანდენ, გამხლარან ჩემი მტრებო კოლქეტივს ხელმძღვანელობენ მორეკეს ქალაქებო, მუშებს რომ დაუმეგობრდენ, ბრაზისგან ჭიპზე ვსკდებო. ვამპანიაა რაღაცა საგაზაფხულო თესვისო, იო, წარსულო დიდებავ, ნებავ თუ კიდე ვვდობო!
მანი.

რეცეპტი

თუ კი თქვენგანს რომელიმეს გვერდის წყელი ექავება და არ ძალუძს უმასაყოთ სახლში თავის შეკავება, თუ გსურთ მუქთად დაიხილოთ, ან მასაქის თუ გაქვთ ზოში, შეიარეთ თქვენ ბათომის რკინის გზელთა აბანოში. იქვე ხშირად იმართება ცემა-ტყევა, ჩხუბი, დრამა, საბკონსერვაციო არ ექნება მისი მსგავსი პონოლია. ს-50.

უშრ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა მხატვრებს შორის კარიკატურებზე.
თემა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას.
თვითთულ მხატვარს შეუძლია საკონკურსოდ გამოგზავნოს 2-3 ნახატი.
მოწონებული ნახატების ავტორებს მიეცემა პრემია:
პირველი—10 მანეთი.
მეორე — 7 მანეთი.
მესამე დაჯილდოებული იქნება ხუთი ავტორი 5 მანეთი თვითთულზე.
მიღების უკანასკნელი ვადა დანიშნულია 1 თებერვალი.

თანამედროვე ანდაზები

- უძველესი ბირჟის კარებს მივინჯო და სიტყვა: ესლა სამსახურის შოვნისა და ჯამაგირის აღების გარდა არა მკელია რაო.
- გამფლანგველმა გამფლანგველს ფული უფეშქაშა და უთხრა: ვიცი არც შენ გაკელია, მაგრამ გამსახლში მეგობრები ვიყვითო.
- კაი შეფი იყავიო, კაი ყლაპიცი გეყავიო.
- დარაჯსა ჰკითხეს: რატომ არაფერს ლაპარაკობო? მან უპასუხა: ენა გრძელი მქონდა, მაგრამ გამეგმ ბოქლომი დამადგაო.
- ადგილკოშს უთქვამს: კავშირის რომ არ მეშინოდეს, კავშირის ფულებს სულ ჯიბისკენ წავათრევდიო.
- მმართველი გვყავდა ნიკორა, ყვიროდა — არა იყო რა.
- გამვის მოქიდავე მდივანს ადგილი არ შერჩებოო.
- კარგი მფლანგველი ფულს ისე გაფლანგავს, რომ ჯილღოსაც მიიღებსო.
- ვექილი რომ სიტყვას ღეჟვას დაუწყებს, ბრალდებული გამტყუნდებაო.
- თავადი რომ გახუნდაო, კუჭი აუბრაბუნდაო.
- გამსახლში მჯღიმი მფლანგველი, მფლანგველს შეებრალებსო.
- ბირჟამ თუ სამსახურში გავგზავნოს, სამსახურს ნურც აქებ, ნურც აცინებო.
- პროტექციით ნაშოვნ ადგილს კბილი არ გაესიწვებაო.
- მდივანი „ზამ“-ობას მოეღოს, „ზამ“-ი კი გა-„ზავ“-ებასა. თუ წაიჩხუბენ — ვერავენ ვერ შესძლებს ვირთხა.

ფ რ ა პ ი (ველისცინი)

- ვახტანგ: — ღვინოს ვუყოთ ჯერ ცივ-ცივად ყლაპიო,
- და მერე კი გავაჩალოთ „ფრაპიო“.
- ცოლი: — მზადა გახლავთ უკვე ყველაფერიო, და ესლა კი თქვენზე არის ჯეროი.
- შერმადინ: — ჯიბის ქლეკი მე გამიჩნდა თამაშით, ჩემი ძალა უნდა გვინჯო ღღეს სმაში.
- ცოლი: — კასის ფულებს შენ არ უქნა ყლაპიო, თორემ მერე ვერ გიშველის „ფრაპია“.
- ვარლამ: — რაც ღრო გაღის ქამის მადა მეზრდება, სამსახური კი თანდათან მბებრდება.
- ცოლი: — ჩემო კარგო, ეს ხომ „ფრაპი“-ს ბრალია, ამ ბოლო ღროს გამოშტერდი ძალიან...
- გიო: — სამსახურში ღლისით მეფა წვალება, ტოლუმბაშო, მომეც ესლა სმის ნება.
- ცოლი: — ესლა მგონი ზედმეტია დათრობა, თამაშის ღროს ჩვენ გვეყოფა ვართობა.
- სოლიკო: — ვეთანხმები მე ამ ქალის აზრსაო, დავანებოთ ესლა თავი სმასაო...
- ვახტანგ: — გაუმარჯოს ამ ოჯახის შეფსაო, და ამაღამ, მაშ, ვიკმაროთ ესაო.
- ცოლი: — გამობრძანდით, გავახუროთ თამაში, ან რა ჰყრია მართო სმა და ქამაში.
- შერმადინ: — ჩველ საღამოს ჩვენ გიოსთან ვიქნებით, შეგვეყრება ალბად საესე ჰიქებით.
- გიო: — დაგვინდებდით მასპინძლური თავანით, თუმც არ დამირჩა მე ჯიბეში ამაში.

ლანდელი.

წიბერაბურული

ი. ბრიგაზნილი
საუბარი ხანში შესულ პალიფილ-თან

—რა ცუდლუბი ხარ, რას მითვალთვალე? ცოდვე შეაქო ვსურს ჩემი ფეხი? ნუ თუ სხვა თემს შენ არ გავალუბს დამარჯვებული მუშა და გლეხი? —ბალობიდანვე, როცა პერანგით მე დავდიოდი სულ ტიტლიკანა, აშოლღან რითმით, კუდრაქა ჩანგით ცოცხან ვუმღერდი, არ იცი განა? — მაშინ, ზომ სხვა დრო იყო გენაცვა, ხად იყო „ზაქსი“ და ან ზაშესი. — არ დავიმაღავ, რა ექნა, უნდა ვქვეა— მოვხუციდი, აღარ მიტაცებს ღეჟსი, მუზეუმში ვარ დღითა და ღამით, მველ-მველ წიგნებში ჩავრგე ყურები და ჩემი ჰკუთი, ჩემი კალამით, მე საითონოვას ვემსახურები.

ტიციანი ტაბიძე: მე კი მომხრე ვიქნე-ბოდი პართული მწვადისა და წითელი ღვინოსი.


ი. ბრიგაზნილი: რის ბანქო, რის ლექსებზე, რის წითელი ღვინო? ჩემი წინა-დადება კლუბთან სასაიდლოს მოწყობა ილმოსავლურ შაილაშე: შილაფლავი, ლულა-ქაბაბი, ლაბლაბ - ქიშიში, და სხვა და სხვა.

კლ. კეშელაშვილი: კარგია კლუბის გახსნა... მაგრამ ჩემი შეწუხების მეტი არა იქნება რა.

სანდრო მული: მე კი ვთქვი, ჩემი და ბეს. შლენტი: კლუბის გახსნის მოლოდინში, სრულიად გავთეთროდი.

„საკობის ეშმაკუნები“
არიქა, მღვეო, თავუნა, ეშმაკს გაჰკარი კბილია. უბიწვე უაყურატოშია, ზურგზე ადინე ბღღვირია.

IV
შურნალ „პართული მფარლოზის“ რედაქციაში



ბაიოჯ ხირიშვილი.
II
ხელოვნების სასახლეში გასწავლული კლუბის გახსნა

მის. ჯაფარიშვილი: ჩემის აზრით, ტირი, ან ბანძოს თამაში, რომ მოეწყობოდეს ჩვენს კლუბში, უმჯობესი იქნებოდა, გეთაყვა!...

შალვა რადიანი: ყველას სჯობია კლუბში იმართებოდეს ღეჟცობები პატრუალურ თემებზე და საპიტხეებზე.

III
ტიციანი
(მეგანი დვალის ფილოსოფიდან)
მე მახსოვს გედი ვიყავი, ჰაერში ლაღად მფრენია; დღეს კი ვარ ადამიანად... იქნებ ზეგ ვიქნე ცხენია.

„საკობის მფარე მ. დვალი“
მე ვარ მეფე, მე ვარ ღმერთი, მე ვარ დიდი ეგვიპტე დვალი. ჩემზე რიბა გრამაშვილია და ახაშელს მუღამ თვალთი ტიციანი, რომაქივე, ვაი, ჩვენი ცოდვის ბრალი, ქორწილი აქვს რუსთაველსა, გვრდს უმწვენებს ევენ დვალი.

დამწვენი მფარალი:—???

ბრ. ციხელაძე: (რედ. მდივანი) ამაზნავო, თქვენი ლექსი მეტად გრძელია და ამიტომ არ დაიბეჭდება.


დამწვე. მფარალი: — კი მარა „ოსის მამუშარ“-ზე*) უფრო გრძელი ხომ არ არის? ოთხი წელიწადია იბეჭდება და საშველი არ დადგა!

8-ი.

*) „ოთხი მუღერი“ — ვრ. ციხელაძის პოემა იბეჭდება „პართულ მწერლობაში“ — მთორე წელიწადია.

თრია.

ხელსაყრელი შემთხვევები



— სად გარბიხარ, კაცო? იქ ხანძარია!
— მეც იმითმ ვაგრბივარ, სახლში ცეცხლი არა მაქვს, იქ მაინც ვავობები!

ჭიათურისა და შორაპნამდე

ხელიკივით შემოსრილა ჭიათურის სადგურში პაწია სამგზავრო „კუკუშკა“ ვაგონებიანი მატარებელი. ცივა.

ღამის ათი საათია. მგზავრების ნაწილი „სუფთა პაერზე“ ღია საზაფხულო ვაგონებში მოკუნჩულა (აღბათ „უადგილობის“ გამო). რის ვაი-ვაგლახით ვაგონის პატარა აივანზე მოვთავსდი. სკივისაგან აცახცახებული კბილები კრიალოსანის მარცვლებივით უხეთქებოდენ ერთიმეორეს.

დაიძრა მატარებელი. ვილაც სპეკულიანტმა ხორბლით სავსე ტომარი საჯდომის ქვეშ „შეამსევა“ (ადგილობრივი თერმინი გახლავთ) მეც მის ნაკვალევს მივსდევ და თავი ამოვყავ დახურულ ვაგონში.

კართოფლის სანთელი სულს ღაფავდა. ერთი ვაიბრძოლა და ჩაქრა. სიბნელემ მოიცვა მთელი ვაგონი.

მივალწიეთ შორაპნის სადგურს. ძილისაგან დანესტილ თვალებს მწვანე ფლაგებით ისრესდენ კანდუქტორებითა ბრიგადელები.

ლოდინი... დაუსრულებელი ლოდინი ამ სიტყვის სრული განსახიერება გახლავთ შორაპნის სადგური. (კარგს იზამს რკინის გზის სამმართველო, თუ სადგურ შორაპნის სახელს შეუცვლის „ლოდინი“-ს სახელწოდებით). შაკა.

რეაქცია

მშვიდობიანი დღე

ფასანაური. სამსახურში ვიან შოდის ჩვენი თედო მოლოდინი; (თავმჯდომარის ნაზვას უნდა დიდი ცდა და მოლოდინი). როცა მოვა, მუდამ ყვირის, აბაკუნებს მაგრად ფეხებს; დღეში ასჯერ შეუტურთხებს დედ-მამის სულს მოსულ გლეხებს. მხოლოდ გუშინ, მარტო გუშინ ჩვენ დღე გვექონდა იშვიათი — თავმჯდომარემ ვაგილა-ნძლა კაცი რალაც რვა თუ ათი.

ქელზე დაადგა

საუნაო (ჩხარი). აღმასკომის თავმჯდომარედ ჩვენ თორთლაძე გვეყავდა „შალვა“. კაცი იყო პირდაპირი, არ უყვარდა ფულის მალვა. სკოლის ფულთი თვის ენაში წამოსქიმა ოდა-სახლი. შეიძინა ყველაფერი, ამოივსო ფულით დახლი. ჩამორთმეულ ტყეებს „შალვამ კვლავ დაუწყო დაბრუნება. (ასეთია თავმჯდომარის პოლიტიკა და გუნება). მაგრამ ერთ დღეს... (ო, დღე იგი შალვასათვის ბნელი, შავი) პროკურორმა ჩვენს შალიკოს გამსახლისკენ უქრა თავი.

(„ბზიკი“).

ორი აზგაზი

ფოთი. ტრანსპორტელთა კლუბის გამგე ცხვირს თანდათან სწევს სულ მალა. (უწინ მღვდელთან თუ გალობდა. — მოგვევლინა გამგეთ ახლა).

იქიდანვე. ყოფილ ვაჭრებით სავსე არის აქ ნავთსადგური, (არ შეუტერტყავს ამისათვის პროფაგანდის ყური). (გრ. არუელი).

მკვიანი ხალხი

ჩიოხატაძე. როცა წმინდამ ჩვენს კანტორის კარებს დაუკაკუნა, — „თივთოხსნები“ ვაგვიხშირდა, ბევრმა თავი დალუნა. განცხადება თვითონ შეაქვთ — „დაგვიტხოვეთ, ჭირიმე“, — რომ თავიდან ავიშორო წმინდის რისხვა, ჭირი მე.

გუშინ კოტემ თვისი სიტყვით აატირა მთელი სუფრა. (სიმონიკა ვაგვიბრაზდა — მისებრ რომ ვერ ისაუბრა). (შავნე).

გამაბრიღებელი პასუხი

სუფსა. გლეხკომის საყასომ იყიდა ხარები. დაჰკლა და დაჰკიდა... გაალო კარები. გაჰყიდა... ვაგიდა მას შემდეგ ხანი და, — სოფელელი დაბრუნდა ტყიდან და ყანიდან და ფული მოსთხოვა — ლოდინი კმარაო; ჩამოდით სანქაროდ! ფულეები ჩქარაო. ასუნდალ მიიღო:—არ გეშართებს ვალია! სად არის იმ ხარის ხორცი და ძვალია?! წავიდა... შესჰამეს ხარჩო და ლომია... განა ღირს ამაზე ჩხუბი და ომია?!

(„ბილბილი“)

ორი გმირი

დვანაზუ (ოზურგეთი). სიხარულიძეს აქ ვინ არ იცნობს? თემალმასკომის საბჭოს წევრია. სოფლად გლეხებში მას აქვს პროცენტში გასესხებული თოლი ბევრია. ბევრჯერ ამხილეს საქმენი მისი, საქმენი „კარგი და საგმირონი“, — მაგრამ შებღზე აქვს მას წაცხებული შავი წარსულის ლაქა-მირონი. მუშუგორებს სდევნის ძველი მევახშე. მიუხედავად სახლში და სცემა გზაში ასეთი კაცი და საბჭოს წევრი გამოვადგება ნეტავი რაში?!

მეორე გმირი — იოსებია, კონტრაბანდისტი, ხმა-ართმეული; კედლის საათი ვადაცოცა, კომპაგვიზირება ბრძამ მორეული.

„ინანო“

ვარცხი-მარცხი

**აწაუოზით ის გავს მამალს,—
არ აკითხვს დროსმ წამალს**
„კმწ“.

წინაბედული კაცია კირკიტაძე (გვარიც რომ შესაფერისი აქვს!) სამტრედიელი „პროვიზორი“.


— აწ აღარ მინდოდა პარტია! — გულს იკეთებს ის პარტყმენდისა და მანდატის ჩამოართმევის შემდეგ. — თბილი ადგილი მაქვს, ან რა მაწულებს. უპარტიო კაცი ვიქნები და პარტყმენდა აღარ შემეწულებს. რაც მინდა, იმას ვიზამ — გვიან მოვალ, ადრე წავალ; თუ ბრაზი მომივიდა, ვაი მათი ბრალი... კი, კი, ასე სჯობია! — ფიქრობს ის.

მაგრამ კირკიტაძეს ვერ უშველის თავისი „კირკიტობა“ (სიმაგრე) საბაპარატის წმენდის დროს.

„ფონი გასაველს დალოცო“, — იტყვიან. მაგრამ ალბად, გასაველის დროს აღარ ექნება საქმე დასალოცად.

**„მიუხვარს კარტის თამაში,
ფული არის ამაში“.**
ვაშაურელი.

— ძალი რომ კულთი მიმათრევდეს, მაინც აზნაური ვარ. მართალია, ქვეყნა დღეს ისეა გარყენილი, რომ თავად-აზნაურობას ჩალოს ფსიც ალარა გვაქვს, მაგრამ, თუ სხვები არ გვაფასებენ, ჩვენ თვითონ უნდა დავაფასოთ თავისი - თავი! — ასე მსჯელობს ნასათიბარის (მღვიმევის თემი, კიათურის რაიონი) „ბრწყინვალეა“ მიშა ასათიანი.




— ევრკა! კარტის თამაში! — აღმოაჩინა „ამერიკა“

და მართლაც, რა ჰქნას კაცმა! ხომ ვერ იმუშავებს! მუშაობას არ არის ჩვეული. მაშასადამე, საქიროა სხვა პროფესიის გამოჩნება. გამონახვა არც ისე ძნელია, მამაპაპური ჩვეულების რომელიმე ერთი დარგი.

მიშამ და... გახსნა სალიკვიდაციო კურსები... ვარტისა და ნარლის უკოლინარობისა.

— მიღწევა დიდი მაქვს! — დაიტრაზახებს მიშა. — ამჟამად ჩვენს არ-მარეში ვერ ნახავთ ვერც ერთ ისეთ ახალგაზრდას (დიდებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია), რომელსაც ჩემგან არ ესწავლოს კარტისა და ნარლის თამაში.



ნეტა, ადგილობრივი ადმინისტრაციაც დადის ამ „სალიკვიდაციო კურსებზე“?

აი, მართლაც სად არის ლიკვიდაცია საქირო!

**მას მოუჰკვდა გავაზა, —
და ღვინის სმამ აბრუა**
ემ—თა

ამბავი 14 დეკემ. მოხდა სოფ. ვანსა შინა გურიაში უამსა 1929 წელში ქრისტეს დაბადების შემდეგ.

— მართალია, ღმერთი არა მწამს, მარა ბაბუაჩემს თუ ალბაი არ გადავუხადე, სამოთხეში არ მიიღებენ და მეც წამიწყდება სული! — თთხრა პარტკანდიდატმა, მასწავლებელმა გრიშა გაწუნამ თავის ამხანაგებს კომკავშირულ ამხანაგებს მირიანს და საშას. — არ დამძრახოთ, ბიჭებო!

— რაფა გეკარდება! მართლა, არც ისე ღმერთგამწყრალო ვართ, როგორც სკოლაში მოწაფეებს ვეუბნებით. დაძრახვით მაშინ დაგძრახავთ, თუ ქელებით არ დასაფლავე ბაბუაშენი.

— ღმერთმა გამარჯვება მოგცეს ყოველივე საქმეში! — ლოცავდა გამძღარი და შეზარხოშებული მღვდელი შეზარხოშებულ გრიშასა და მის ამხანაგებს.

— ამინ, ამინ, მამაო! — ეთანხმებოდენ ესენი პირველს იწერდენ.

როცა სკოლაში გამოცხადდენ, თავებრუ ესხმოდათ ყველაფერი ტრიალებდა.

— აი, ბავშვებო, შეხედეთ! ხომ ხედავთ მიწა და ყველაფერი მასზე როგორ ტრიალებს? მაშასადამე, მიწა მრგვალია! — უხსნიდენ გაკვეთილს მოწაფეებს.

საუბარი ა. გოგეიშვილთან

ჭუთაისი

კითხვა: — რატომ დახურეთ ბარიტის წისქვილი ორჯერ და არც ერთხელ არ შეეკითხეთ ამის შესახებ მუშებსა და პარტიულ კომიტეტს?

პასუხი: — მართალია: მე ორჯერ დახურე წისქვილი, მაგრამ ორჯერ მივეცი სალიკვიდაციო მუშებს და ორჯერ ავამუშავე ისევე იმავე მუშების ხელახლად მიღებით. არ ვკითხვებ მუშებსა და პარტიულ კომიტეტს იმისათვის, რომ წინასწარ ვიცოდი — არ დამთანხმებდნენ.

კითხვა: — მართალია თუ არა, რომ თქვენ ხელითელ გაძრალი მოგიყვანათ თამარ ქაჯაიამ კიოლის ვაზეთთან და მასზე მოთავსებული წერილისათვის ჩაგილაპარაკათ; ამას დამწერსაც ისე მოუყვა, როგორც სხვებს დამართათ?

პასუხი: — სრული სიმართლეა. მე ქალიშვილს გან-

საკუთრებულ პატივსა ვსცემ და ვილაც ვიგინდარა ბედავს მასზე კედლის გაზეთში წერას.

კითხვა: — მართალია, თუ არა — თქვენ ავტოთი გაეღვენეთ შეყვარებულ ქალს ბაღდათში.

პასუხი: — მართალია, მხოლოდ ავტო არ ყოფილა ჩემი დაწესებულების, ვზატკეცილებს იყო. შიგ მიუჯდა ტენზიკი კატიშვილი, რომელმაც შემდეგ ალბათ გაფლანგა რალაც 7 ათასი მანეთი და გამსახლში ჩაჯდა.

კითხვა: — ხომ არ გახსოვთ როგორ იყო, რომ კომუჯრეომა მითითებები მოგცათ და თქვენ არ მიიღეთ?

პასუხი: — რა კომუჯრეომა! რის მითითება! მე და მითითება? რასაკვირველია არ მივიღე და სკანდალიც კი ავტებე.

ხლისტი.

მედიცინა

ბოთლი და ბუზები

სადგურ ზესტაფონში გამეფებულია ლოთობა, საბუშაო დღეების გაცდენა და სამსახურში დაგვიანება. („რაზ. პრაგ.“)



რას ნიშნავს აქ დახატული ღვეინით სავსე ბოთლი? ან რა შუაშია ამ ზამთარში აქ მოთავსებული ბუზები? რაშია საქმე?

სულ უბრალო საქმეა, ვინც სადგურ ზესტაფონის ამბები იცის, მისთვის ყველაფერი გასაგებია: ღვეინოს მიირთმევენ რკინის გზის სადგურის და ორთქლმავლის საყუდის შეხარ-

ხოშებული მუშა-მოსამსახურეები და ბუზებს იჭერს რკინის გზის ადმინისტრაცია. ეს არის ნამდვილი შში, ანუ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ან უკეთ რომ ვთქვათ, შრომის რაციონალურად განაწილება.

რას იფიქრებს

გურჯაანის მეტაბელე ნიუარაძეს რა გამოასწორებს? თოფი ძალღებნი ნადირობა მის ხელთაა. დარბის ტყეებში ნიუარაძე და წარმოება კი მიტოვებულია.

„მუშა“.

ნადირობას როგორ გავცვლი სახელოსნოს ნიუარაძე? — ასე ფიქრობს გურჯაანის მეტაბელე ნიუარაძე. ფიქრობს, მაგრამ საკითხავი ჩვენთვის ერთი საკითხია: რას იფიქრებს მის შესახებ გამწუნდავი კომისია?!

მუშათა დამკვირვებმა ბრიგადებმა გამოარკვეეს, რომ რკინის გზელ-მუშა გამომგონებლებს არ ექცევათ შესაფერო ყურადღება. „კომ.“



— გამომგონებელი ხომ არა ხართ?
— როგორ გამოიცანით?
— აშკარა ნიშნები გაქვთ: ნეტყების აშლილობა, გულის სივანეიერე...

„მ ი ზ ე ზ ი“

— რად დააგვიანეთ ამხანაგო?! მთელი ორი საათი გაეციდათ...
— არა, მე არ დამიგვიანებია: მე თავის დროზე წამოვედი; ტრამვის ვაგონმა დაიგვიანა: მთელი ათი წუთი იყო ერთ ადგილს ვაჩერებული.

ბოლონი

კანდიოხს (ბათომი) თუ თქვენ „განუწყვეტელ დახვეწებაზე“ გადადით, ჩვენ რას გვეჩიოთ?! ჩვენც შეგვსვენეთ ცოტა ხნით მაინც თქვენი წერილებისაგან!

ქოლტს (ქუთაისი) მარტო რევოლუციის სახელწოდება არ კმარა სხვების „დასაშინებლად“ და ნაკლის გამოსასწორებლად. თქვენ გვწერთ:

ქუთაისის ძაფსაღებში არის ბევრი დეფექტები, და ამის აღმოსაფხვრელად მინდა ვსწერო ლექსი მჭრელი.

ჩვენ კი გეტყვით:—ყოველ შემთხვევაში თქვენს ლექსში რომ დეფექტებია, იმდენი არ იქნება ქუთაისის ძაფსაღებჭარხანაში. წერილზე მარტო პასუხისმგებლობა არ კმარა; საჭიროა—მისი კარგად დაწერაც.

ხონელს. თქვენი წერილიდან საერთოდ ასეთი აზრი გამოდის:

ამბობენ: ტყუილებში ამბაკო ხეობსო სიმონს; ორივე დაგამუავენს ლოდინში, როგორც ლიმონს.

ამ თქვენს წერილს რომ ნაკლები სიმთავრე ჰქონდეს, ხოლო უფრო მეტი მარბილი, აქ არ მოხვდებოდა.

უანურელს (ოზურგეთი). ეს მასალები არ გამოგვადგა. სწერეთ მიმდინარე საკითხებზე მოკლეთ და მარტივად. ჩვენი უფრალი სატირულ - იუმორისტულია.

მამთარს. (აქვე ჩურულვეთის ქ. № 25). — თქვენს „უაქტს“ ასეთი ცული ლექსი ვერ გამოაღვიძებს.

„კი-კი-ლის“ (გურუყვეთი, ოზურ. მაზრა). — რა აეკვიტეთ მაგ სკოლას! ხომ ხედავთ — მაინც არაფერი გამოდის:

სწავლის გაცდენა აქ მუდამ გადაქცეულა ხენდა. გამგე ასეთი უსაქმო, ღირსია შეხარცხვენდა.

„ასალა უფრო კარგად დაამუშავით. სხვა ამბები მოიწერეთ მოკლედ და გარკვევით.

„ტროშინს (სოფ. მადლაკი, ქუთ. ოლქი). მხოლოდ ეს ერთი ხერიანი ადგილი ვნახეთ თქვენს ლექსში, რომელსაც სწერით ალექსანდრეზე (გლეხკომის ყოფილ თავმჯდომარე):

მოკინკლავს ეძახიან და ინტრიგანს მასაშიო, — და თუ ფული შემოაკლდა, იქ გვირღზე აქვს კასაშიო.

ჰმამს (ჭიათურა). ჩვენ ერთხელ გვექონდა ცნობა ტენიკ ყორჯოლიანის შესახებ. დავუცადით—რა ნაყოფს გამოიღებს ის წერილი; თუ დარჩა „ხმად მლაღადებელისა“ ჭიათურას შინა,—მაშინ უფრო მკაცრად დავსწეროთ და მოვათავსოთ; ეს სტრიქონებიც იქ გადავიტანოთ:

აზნაურობა დაემხო, საქმე გაკეთდა მზიანი, — მაგრამ იგივეს ატარებს ტენიკი ყორჯოლიანი.

№ 345
1930



„ქრისტეს ტირილი“



ქრისტე (ღმერთს): — ამხაც მოვესწართ: სამრეკლოდან ზარებსა ხსნიან და ტრაქტორებად აკეთებენ!

რედ. სარეჯაძე. კოლეგია: გ.ბ. „მუშა“-ს გამოცემა. საქ. პ.გ. ტურესტის მე-5 სტამბა. მთავლიტი № 1319.